წელიწადი მესამე ფასი 7 კაპ. პარასკევი, 6 იანვარი, 1917 წ. № 5

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ... უკანასკნელზე—20 ... მიღებულ განცხადებანი ... სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 სვეტისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირს. მეტი დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

1917 წ. წელიწადი მესამე

## „საქართველო"

1917 წ. წელიწადი მესამე

ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურს ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთს საკუთარი კორესპონდენტები ჰყავს საქართველოს მნიშვნელოვან და... ქალაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში.

გაზეთში უახლოეს თანამშრომლობას ეწევიან:

აკ. აბესაძე, ი. აბულაძე, არქ. ამბროსი (ხელაია), დ. არონიშიძე, ა. ახათიანი, ალ. ახმეტელი, გ. ბარნოვი, ივ. ბუქურაული,
ეკ. გაბაშვილისა, რ. გაბაშვილი, განდეგილი, გ. გვაზავა, ს. გორგაძე, გ. გორდეზიანი, გ. გუნია, შალვა დადიანი,
ზ. ედილი, ი. ვართაგავა, გრ. ვეშაპელი, ეკ. თაყაიშვილი, ინ-ბანი, პ. ინგოროყვა, ჩ. კაპანაძე, დ. კასრაძე,
პოლ. კარბელაშვილი, დ. გ. კარიჭაშვილი, დ. კახელი, ეპისკოპოსი კირიონი, ს. კედია, დეკ. ქ. კეკელიძე, დ. კოპალი, ნ. კურდღელაშვილი, Legatus,
ეპისკოპოსი ლეონიდე, იას. ლორთქიფანიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ტ. მარგველაშვილი, კ. მაყაშვილი, ი. ... ძაგარიანი, დუტუ მეგრელი, მელანია,
შ. მღვიმელი, ნიკო ნიკოლაძე, გ. ჟორდანია, გრ. რობაქიძე, გ. საქარიქედელი, თედო სახოკია, ტ. ტაბიძე, ი. ფერაძე,
შ. ქარუმიძე, ს. ქვარიანი, გ. ქიქოძე, ნ. ყიფიანისა, ხვ. ყიფიანი, გ. ყიფშიძე, მიხ. შალამბერიძე, გ. შალიკაშვილი,
პროფ. ა. ცაგარელი, აპ. წულაძე, დ. ჭიაბრიშვილი, ზ. ჭიჭინაძე, მ. ჯანაშვილი, ლ. ჯაფარიძე, სამხედრო მიმ. ბ-ნი X.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით 9 მან., სამის თვით 5 მან., ერთის თვით ქალაქში 1 მ. 80 კ.

ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთის თვით ფოსტის საშუალებით არ მიიღება.

არა წლიურ ხელის მომწერთათვის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იქნება ნაანგარიშევი. წლიურ ხელის მომწერთათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს 7 მან., პირველ მარტისათვის 5 მან. და პირველ ივნისისათვის 3 მან.

ვისაც სურს გაზეთის გაწერა წლიურად, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. ✦ რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ✦ კანტორა ღიაა: დილით 9—3 ს.-დე. სად. 5—7-დე.

რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი. გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო".

---

ღრმად დამწუხრებულნი ალექსანდრე სტეფანეს ძე ჭრელაშვილი, ეკატერინე თეოდორეს ასული ახათიანისა, ოლღა თევდორეს ასული ნახიძისა და გიორგი დანიელის ძე ჭრელაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ უეცრივ გარდაიცვალა

### სტეფანე თეოდორეს ძე ჭრელაშვილი

ცხედარს დაასაფლავებენ შაბათს, იანვრის 7. წირვა დაიწყება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დილის 10 საათზე. წირვის შემდეგ ცხედარს გაატარებენ ერევნის მოედნით, სადაც საქალაქო სახლთან გადახდილ იქმნება მცირე პანაშვიდი. აქიდან დიდუბის ეკლესიაში წაასვენებენ დასაკრძალავად.

---

თბილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ამა წლის იანვრის 2 ღამით უეცრად გარდაიცვალა ქალაქის გამგეობის ნამდვილნარი და ქალაქის საბჭოს ხმოსანი

### სტეფანე თევდორეს ძე ჭრელაშვილი

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს $7^{1}/_{2}$ საათიდან ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

(2—506—2)

---

შვილები: ნადია და თამარა სარდიონის ასულნი, ძმები: დავით, ბესარიონ და ანტონ გიორგის ძენი ქაჯაიები, დები: მარიამ წულაძისა, დარია ახვლედიანისა, მინადორა ბერიძისა და ოლღა ხუნდაძისა, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაცვალებიდან 8 წლის შესრულების გამო გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი პირველთა ძვირფასი დედმამისა და მეორეთა დაუვიწყარ ძმისა და რძლის

### სარდიონ გიორგის ძის და ელისაბედ (ლიზა) ქაჯაიების

სულის მოსახსენებლად

შაბათს, 7 იანვარს, დილის 11 საათზე, კუკიის წმიდა ნინოს ეკლესიაში.

(1—460—1)

---

ერთად-ერთი სამხატვრო-სალიტერატურო—სათეატრო კვირეული ჟურნალი

### თეატრი და ცხოვრება № 2

**შინაარსი:** 1. ყოფილი—ვისი ან რის ბრალია? 2. ლ. ძიძიგური—სევდის ნაფლეთები: დამჭკნარი სიყმაწვილე; 3. ლ. გავაშელიშვილი—ჩვენი მუსიკოსი —ია კარგარეთელი; 4. დ. ნახუცრიშვილი—თურქული სიმღერა; 5. კ. გარიყული—ბრძოლის ველზე; 6. გ. ქუჩიშვილი—ჩემს გულს; 7. ნიავ-ქარი—სონეტი; 8. მარიჯან ⁂ 9. იოსებ არიმათიელი—ცოცხალი არქივი. ს. თ. ჭრელაშვილი; 10. დ. კლდიაშვილი—სდუმს გული; 11. პართენ გოთუა—პატარა წერილები III; 12. ტალღა ⁂; 13. ს. ვარდოშვილი—გიმღერებ! 14. იაგო ტატუნაშვილი—სოფლად; 15. ტანჯული მუზა—ამონაკვნესი; 16. გრ. საქარიქედელი—მოკლე მწერალი; 17. გ. ჯაბაური—სახალხო თეატრის ისტორია; 18. უსავანო—მწიგნობრობა. წვრილი ამბები.

თითო ნომერი 15 კ. მიიღება 1917 წ. ხელის მოწერა. წლიურად ორი პრემიით 8 მ., ნახევარი წლით—4 მ. 50 კ., ხელის მოწერა შეიძლება „სორაპნის" სტამბაში, თბილისში, მადათოვის კუნძულზე, № 1. ფოსტით—Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба"—Іос. Имедашвили.

(1—462—1.

---

### გაზეთ „საქართველო"-ზე ხელის მოწერა მიიღება:

**თბილისში**—ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ ვას. ედილაშვილთან.

**ქუთაისში**— 1) ჟურნალ გაზეთების კანტორა „იმერეთში",
2) საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკში ბ-ნ რ. დათეშიძესთან, ბ-ნ ი. პურადაშვილთან,
3) მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში ბ-ნ პ. ჯელაშვილთან.

**ბათომში** — ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიადში", ბ-ნ მგალობლიშვილთან ... ჩარუაშვილთან.

**ხონში** — მ. ჭავჭანიძის წიგნის მაღაზიაში.

**სამტრედიაში**—პორფილე ჰეიშვილთან.

**ჭიათურაში**—გალაქტიონ ქავთარაძესთან.

**ბაქოში** — ძმათა ბოხტალანიშვილების წიგნის მაღაზიაში და ალექს. სიმ. ლორთქიფანიძესთან (კრასნოვოდსკაია ქუჩა № 10. ტელეფონი 47—90).

**გორში** — ძმათა რომანიშვილების მაღაზიაში.

**ზუგდიდში**— ბ-ნ პეტრე კეიდიასთან (შემნახველ-გამსესხ. ამხანაგობაში).

---

მოიკითხეთ ყველგან



გ. ლეონიძის რედაქტორობით

---

### ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)

შაბათს, 7 იანვარს,

## სიმებიანი ორკესტრი

სტუმრები საზოგადო წესით. ✦ დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

(1—507—1)

---

ექიმი

### ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.

---

ექიმი

### მ. ი. ვარნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

---

### დ. ს. არჯევანიძეს

(შუა ბაზარში № 24)

მაღაზიაში შემთხვევით იყიდება ვერცხლის სამოვარი თავის ყოველივე მოწყობილობით

---

ვსთხოვ მოვაჭრეებს

ვისაც აქვს გასაყიდი

### რკინის კასსა

(შუა ბაზარში № 24)

მაღაზიაში დ. ს. არჯევანიძისა.

---

ექიმი

### ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანჯანოვისა).

მოსკოვის საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^{1}/_{2}$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914" და „606"

შეშხაპუნება

---

ექიმი

### მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

---

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

### კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

---

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

### ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

---

ექიმი

### ბ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღეს გარდა მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

---

ექიმი

### კ. ი. ზვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

---

## ჩვენი მეურნეობის მდგომარეობა

ჩვენში ხშირად ლაპარაკობენ მიწათმოქმედების კრიზისზე. ეს ცოტა არ იყოს შეუფერებელი გამოთქმაა. კრიზისი ეკონომიური ცხოვრების დროგამოშვებითს შებორძიკებას ჰქვია, ქართული მიწათმოქმედება კი თითქმის შეუჩერებელს დაქვეითებას განიცდის უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში. მეურნეობის შემოსავალი ხშირად ვერც კი ჰფარავს გაწეულ ხარჯებს. ეს განსაკუთრებით მსხვილ მეურნეობაზე ითქმის. ჩვენში მოიპოვებიან მემამულეები, რომელთაც რავდენიმე ათასი დღიური მიწა აქვთ და უკიდურეს სიღარიბეში სცხოვრობენ, უმიწაწყლო პროლეტარების მსგავსად. ჩვეულებრივი ევროპიელი გლეხი უფრო ადამიანურ პირობებში იმყოფება, ვიდრე ზოგიერთი ქართველი მსხვილი მესაკუთრე, რომლის წინაპარი ბაგრატიონთა გვარს ექიშპებოდა და საქართველოს პოლიტიკურ ბედს განაგებდა.

ამბობენ, რომ ასეთ დაქვეითებაში თვით ქართველ აგრარიებს მიუძღვით ბრალი. ქართველმა ფეოდალურმა წოდებამ თან და თან დაჰკარგა ძველი საზოგადოებრივი დანიშნულება, ახალი ცხოვრების მოთხოვნილებები კი ვერ შეითვისა. ის უმოქმედო და უიდეალო ჯგუფად იქცა. დღეს აღარავის სჭირია მისი სამხედრო ხელოვნება და მისი ფარხმალი. სამეურნეო ტეხნიკისა კი მას ბევრი არაფერი გაეგება. გასაკვირალი არ არის, რომ ასეთ პირობებში მთელი დიდი საზოგადოებრივი წოდება ფიზიკური და ზნეობრივი გადაგვარების გზას დაადგა.

ამ გადაგვარების მიზეზები ისტორიულ პირობებში უნდა ვეძიოთ. ქართველი თავად-აზნაურობა უძველესი არისტოკრატიაა დედამიწის ზურგზე. მხრებზე მთელი საუკუნეები აწევს. ზოგიერთი დიდი გვარეულობა ათასი და ათას ხუთასი წლის წინად იწყებს თავის გენეოლოგიას· მისი სისხლი არ განახლებულა საუკუნეების განმავლობაში. რა გასაკვირალია, რომ მის კუნთებს ილაჯი გამოლევია, ხოლო მისი შუბლი ღრმა ნაოჭებითაა დაღარული.

სხვა ქვეყნებში აგრარიული არისტოკრატია ბევრად უფრო ახალგაზრდაა. საფრანგეთის ძველი არისტოკრატია თითქმის სრულიად დაიღუპა დიდი რევოლიუციის დროს, დღევანდელი თავადაზნაურობა უმეტეს ნაწილად პირველი იმპერიის დროს არის გაკეთილშობილებული, დანარჩენ ევროპიულ ქვეყნებში ძველი თავად აზნაურობა ერთბაშად არ მოსპობილა, მაგრამ ნელ-ნელა განახლდა, ინდუს-

ტრიულ და ფინანსიურ ბურჟუაზიასთან შეუღლებით. მან თითქმის ყველგან ამ საზოგადოებრივი ჯგუფის ენერგია შეისრუტა და მისი საქმიანობის უნარი შეითვისა. ამით აიხსნება, სხვათა შორის, რომ ევროპიულ მემამულე არისტოკრატიას მეტი ბუნებრივი მოქნილობა აქვს და თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრებას ეგუება.

მაგრამ ეროვნული კაპიტალის უქონლობამ საქართველოში შეაფერხა არა მარტო აგრარული წოდების განახლება, არამედ, სამეურნეო ტეხნიკის წინსვლაც. შემცდარია ის აზრი, თითქო კაპიტალსა და მეურნეობას შორის შეურიგებელი წინააღმდეგობა არსებობს და ერთის წინსვლა აუცილებლად მეორის უკანსვლას მოასწავებდეს. ინგლისის და გერმანიის მაგალითი აშკარად მოწმობს ამ შეხედულებას. ამ ძლიერ კაპიტალისტურ ქვეყნებში მეურნეობაც აყვავებულია. ინგლისელი ლენდლორდები და ოსტელმიელი ბარონები გავლენიან საზოგადოებრივ ჯგუფს წარმოადგენენ. ეს არ არის გასაკვირალი: ეროვნული კაპიტალი შინაურ ბაზარს ჰქმნის სამეურნეო ნაწარმოებისათვის; ამასთან ერთად ხელს უწყობს საზოგადოების დანაწილებას და მუშათა კლასის წარმოშობას, ეს პროცესი კი დიდათ ხელსაყრელია მსხვილი მეურნეობისათვის.

ჩვენი ქვეყნის შინაური ბაზარი თავის თავად ვიწრო და ღარიბია, ცხოვრებთა რიცხვის სიმცირისა და წარმოების განუვითარებლობის გამო. მსხვილ მეურნეობას აქ ფართო გასაქანი არ აქვს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამ ბაზარს სანახევროდ რუსის იაფფასიანი ხორბალი დაეპატრონა. რუსის პურის შემოჰრამ გამანადგურებელი გავლენა იქონია ქართულ მეურნეობაზე. ჩვენი სამეურნეო ნაწარმოების ფასი დაეცა, ალაგ-ალაგ საზარალოც გახდა პურის მოყვანა. თვით რუსის მომხმარებელი ღარიბი და უკულტურო და არ საჭიროობს ჩვენი მეურნეობის ფაქიზს და ძვირფას ნაწარმოებს: ჩვენ ღვინოსა, ხილეულობასა თუ აბრეშუმს სათანადო ასპარეზი არ აქვს რუსეთში. სხვათა შორის რკინის გზების უქონლობაც აფერხებს მათ გაზიდვას. რუსეთის სახელმწიფოს საბაჟო პოლიტიკა კი მეტი და ცალმხრივია, ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებებს ანგარიშს არ უწევს და იმის მაგივრად, რომ უცხოეთის ბაზარი მოუპოვოს ჩვენს მეურნეობას, კარებს უღებს სამხრეთი ქვეყნების პროდუქტებს და ძირს უთხრის ჩვენს ეკონომიურ კეთილდღეობას.

გასაკვირალი არ არის, რომ ასეთ პირობებში ინტენსიური მეურნეობა ნაკლებ ხელსაყრელია და ჩვენი მიწათ მოქმედება ერთს წერტილზეა გაყინული. შემოსავლის სიმცირისა, გადასახადების სიდიდისა, მუშათა ხელის სიძვირის გამო სამეურნეო კაპიტალი არ იზრდება, უფულობა კი შეუძლებლად ხდის ტეხნიკურ და კულტურულ გაუმჯობესებას. დიდი ნაწილი ჩვენი ტერიტორიისა დაუმუშავებელი რჩება ნიადაგის სინოყივრის მიუხედავად. გამოანგარიშებულია, რომ გერმანიის დამუშავებული მამულის რაოდენობა მთელი ტერიტორიის 70 პროცენტს შეადგენს, საფრანგეთში და 72 პროც. საქართველოში კი დამუშავებული ნიადაგის რაოდენობა მხოლოდ 37 პროც. აღწევს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ეროვნული ტერიტორიის ორი მესამედი ნაკლებ შემოსავლიან იალაღსა, ხე-ტყესა და უდაბნოს უჭირავს. ეს გარემოება კი სხვათა შორის დიდათ აფერხებს ქართველი ერის ნორმალურ ზრდასა და გამრავლებას. ჩვენს მიწა-წყალს თხუთმეტი თუ ოცი მილიონი სულის გამოკვება შეუძლია, დღეს კი საქართველოში ორიოდე მილიონი ბინადრობს და ისიც სანახევროდ დამშეულია.

ცხადია, რომ ამ დუხჭირ პირობებს თავს ვერ დავაღწევთ, სანამ ჩვენი სამშობლოს პოლიტიკური მდგომარეობა არ შეიცვლება. მხოლოდ ეროვნულ სახელმწიფოს შეუძლია ეროვნული მეურნეობისა [illegible] დალების ადგილს ნელნელა თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი მემამულეები დაიჭერენ.

ვ. ლელიანი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

ოფიციალ დეპეშის გადმოცემით, რუს-რუმინელთა ჯარს, ვედენის მიდამოში სასტიკი იერიშის შემდეგ, გაურეკნია გერმანელნი და ვედენი აუღია. მიუხედავად იმისა, რომ მოპირდაპირეს მაშველი ჯარები მოსვლია და შეტევა განუახლებია, რუს-რუმინელნი ადგილიდან მაინც ვერ დაუძრავსთ. ასეთი გაბედული მანევრი მოკავშირეთა მხრიდან ადვილი ასახსნელია. არა-ერთხელ განგვიმარტავს, თუ რა სიმაგრეს წარმოადგენს მდინარე სერეტის შესართავი, გალაცი, რენი, იზმაილოვი და მდ. დუნაი. ამ პლაცდარმზე დამყარებული რუს-რუმინელთა ჯარი ყოველთვის უფრო ადვილად შესძლებს არა მარტო შეაკავოს მოპირდაპირე, შეტევაც აწარმოოს და მარჯვენა ფრთა გერმანელებისა საფრთხეში ამყოფოს. მათს აქტიურ მოქმედებას აგრეთვე დიდ დახმარებას უწევს გალაცის რკინის გზა. მაშასადამე, ყოვლად შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ გერმანელნი აქ დაიწყებენ მდინარის გადალახვას. ასეთი გაბედული ოპერაცია მათი უთუოოდ მარცხით გათავდება. მაგალითებიდან ვიცით, რომ საზოგადოთ გერმანელნი გამაგრებული ადგილების დასაპყრობად ყოველთვის შორს შემოვლის მანევრით იწყებენ. ვფიქრობთ, რომ ამ ჩვეულებას არც ახლა უღალატებენ.

აღსანიშნავია, რომ გერმანელებს მდ. რიმნიკას შესართავთან რუს-რუმინელთათვის სოფ. გერლესჩი ხელმეორედ წაურმევიათ და უფრო აღმოსავლეთით გაურეკიათ. მკითხველებმა უკვე იციან, რომ ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ სწორედ მდ. ბუზეო და რიმნიკის შუა მდებარე მიდამოს. ეს სწორედ ის ადგილია, სადაც მოპირდაპირემ უნდა გადალახოს მდინარე.

აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე, როგორც მოსალოდნელი იყო, მოპირდაპირეს განუახლებია მოქმედება მდ. ნარიუვკაზე. არა ერთხელ გვითქვამს, რომ მოპირდაპირე, თუ კი მართლა ჰფიქრობს გენერალური ოპერაცია დაიწყოს რუსეთის წინააღმდეგ, უთუოდ სწორედ ამ მდინარით უნდა შეეცადოს ბრძოლის ხაზის გარღვევას. სულ მცირედი ახმაურებაც კი ამ მიდამოში უთუოდ ღირსშესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგან დღევანდელი მდგომარეობა რუმინეთის ასპარეზზე დაბეჯითებით მოითხოვს გერმანელებისაგან სადმე მაშველი ოპერაცია განაახლონ.

X.

# ომის დეპეშები

**5 იანვარი.**

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. გერმანელთა არტილერია ინტენსივურად უშენს ზბოროვ-ვოლოჩეკის რკინის გზის რაიონში. ასეთივე სროლაა ავგუსტოვკის სამხრეთით. სვისტელნიკის სამხრეთით გერმანელებმა საფარიდან ამოსდგეს ტყვიისმფრქვეველი და რუსთა თხრილებს დაუშინეს. მალე ეს ტყვიისმფრქვეველი გაფუჭებულ იქმნა რუსთაგან გამოსროლილი ტყვიით. იამნიცის (მდ. ბისტრიცაზე) გერმანელებმა სროლა აუტეხეს რუსთა მომუშავე როტებს. ყუმბარები მეტწილად ზურგს უკან ცვდებოდა და მომუშავეთ ზარალს ვერ აყენებდა. მალე რუსთა არტილერიამ ჩააქრო მტრის ცეცხლი.

**რუმინეთის ასპარეზი.** ბისტრიცა-კიმპოლუნგის სარკინისგზო რაიონში, მტერმა იერიშები მოიტანა „4285" მაღლობების გასწვრივ გაყოლებულს თხრილებზე, მაგრამ მალე უკუგდებულ იქმნა. შემდეგ მტერმა იერიში მიიტანა რუმინელებზე პრალეას სამხრეთ-დასავლეთით, მაგრამ კონტრ-იერიშით უკუგდებულ იქმნენ. რუსებმა ღამით გაითარეშეს და გერლესჩიდან განსდევნეს გერმანელები, დავლად დარჩათ 2 ტყვიისმფრქვეველი. მალე გერ- [illegible]

**რომი.** იტალიის საზღვაო სამინისტრო იტყობინება: 1 იანვარს დილით დალმაციის კუნძულებიდან ფრანგების წყალქვეშამ ნაღმით დაჰლუპა ავსტრიის გემი. ავსტრიელმა მფრინავებმა წყალქვეშაზე უნაყოფო იერიში მიიტანეს.

**პეტროგრადი.** სახელმწიფო საბჭოს წევრი ერმოლოვი გარდაიცვალა.

**სოლუნი.** გენერალი კუსკიე დღეს დაჰნიშნავს მოკავშირეთა წარმომადგენლებს, რომელთაც საბერძნეთის ჯარის მოძრაობაზე თვალყურის დევნა დაევალებათ.

**რომი.** იტალიელების ოფიც. ცნობა. პიკოლო ლაგუის მთის სამხრეთ ფერდობებზე (რიო-ანდრაზი, ზემო კოდევოლეში) მოპირდაპირემ ჩენდჟა მარტინის ხაზზე თხრილი ნაღმით აგვიფეთქა, მაგრამ თითონვე დაზარალდა.

**ლონდონი.** საღამოს ოფიც. ცნობა. საფრანგეთის ასპარეზისა. მედეკურის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოპირდაპირემ უეცრივ შემოგვიტია, მაგრამ მოვიგერიეთ. იპრ-კომინის არხის მიდამოებში მედგრად ვუშენდით ზარბაზნებს და მტრის მოსაგერიებელი შენობები დავაზიანეთ.

# ქურნალ-გაზეთებიდან

## ინგლისი

ინგლისის გაზეთებში მოთავსებულია ცნობა, რომ ამ წლის მარტამდე ინგლისის სამარი ხარჯი 45 მილიარდ მანეთამდე ავა.

## საბერძნეთი.

**მოკავშირენი და დროებითი მთავრობა**

სალონიკში მისულა ინგლისის წარმომადგენელი ლორდი გრავილი, რომელიც ვენიზელოსის დროებით მთავრობასთან იქნება.

იქვე ჩასულან გენერალი სარაილი და საფრანგეთის წარმომადგენელი ბილი.

**გერმანელები ათინაში**

ათინიდან ამასწინად გაძევებული სამხედრო აგენტი ფალკენზონი, სხვა გერმანელი აფიცრები და ცნობილი მოქადაგე ბარონი შენკი, ეხლა უკვე ათინაში იმყოფებიან და მთავარ შტაბში სამხედრო სამზადისს სათავეში უდგანან.

**საბერძნეთი და მოკავშირენი**

უმთავრესი მუხლი მოკავშირეთა მოთხოვნილებისა სამხედრო ხასიათისა. [illegible]

## მაკედონია

[illegible]

## გერმანეთი

**ბერლინ-კონსტანტინოპ. გზა.**

[illegible] ბერგისა და ტილზიტის გზით.

## რუმინეთი.

ამ ცოტა ხანში ბუქარესტში თური დიდი ზეიმი გაიმართება, რომელსაც დაესწრებიან გერმანეთის იმპერატორი ვილჰელმი, ავსტრიის მეფე კარლი, ბულგარეთის მეფე ფერდინანდი, კრონპრინცი და ენვერ-ფაშა. ამბობენ ამ ზეიმის დროს დიდმნიშვნელოვან დიპლომატიურ აქტზე ხელს მოაწერენო.

**მიზეზი რუმინეთის მარცხისა.**

„რ. ს." თანამშრომელს უსაუბრია რუსეთის სამხრეთ-დასავლეთის ასპარეზზე მომქმედ შტაბის გავლენიან პირთან. თანამშრომელს უკითხავს: როგორ მოხდა, რომ რუმინელთა ნახევარ მილიონიანმა ჯარმა, სრულებით ხელუხლებელმა, გაცილებით მცირე-რიცხოვან მტრის ჯარს ვერ გაუმკლავდა და თავისი ქვეყნის ორი მესამედი დაანებაო? გავლენიან პირს უპასუხნია: „უმთავრესი მიზეზი ის გახლდათ, რომ რუმინეთსა დიდი ხანია მშვიდობიანობა არ დაურღვევია. მათ არ გაჩნდათ საველე ტელეფონები და ტელეგრაფი. სხვა და სხვა კორპუსების და დივიზიების შტაბები სახელმწიფო ტელეგრაფით სარგებლობდნენ და მხოლოდ მეტელეფონე ქალები ჰყავდათ. ქვეითა ჯარს არა ჰქონდა მავთულები და მაკრატლები. თხრილების გაჭრა უცხო ხილი იყო რუმინელებისათვის. რუმინელები იერიშებით მისვლის დროს თავის ზურგის მხარეს თხრილებს არ იმზადებდნენ. მტერთან შეჯახების მერე რუმინეთის ახალგაზდა ჯარმა ნერვიულობა დაიწყო. ყოველი ზარალი შიშსა ჰგვრიდა, ტანჯვა შიშის ზარსა სცემდა. რუმინელთა მგრძნობიარება იქამდე მიდიოდა, რომ არამც თუ ბრძოლის ხაზზე, არამედ ზურგის მხარეს მობანაკე ჯარსაც შიშის ზარი ატანდა. საერთოდ რუმინელებს სამხედრო დისციპლინა აკლიათ. ეხლა გენერალ პრესანს აქვს მინდობილი რუმინეთის ჯარის ახალი დარაზმვა.

## ავსტრია

ვენიდან იტყობინებიან, რომ ავსტრიის ახალი მეხუთე სამხედრო სესხი უკვე შესრულდა. იგი 4, 412, 800,000 კრონს უდრის.

## ოდესა

ოდესის გენერალ-გუბერნატორს სავალდებულო დადგენილება გამოუცია, რომლითაც [illegible]

## ამერიკა

[illegible]

## გერმანეთი

[illegible] ში იმყოფება, 2410 ათას ტონის მზიდველი. ასე რომ მოკავშირეთა მიერ დაღუპულ და დატყვევებულ გემთა რაოდენობა 18 პროცენტამდეა, 40 პროცენტამდე ნეიტრალ სახელმწიფოთა წყლებშია, ხოლო დანარჩენი 42 პროცენტი გერმანეთის ნავთსადგურებშია.

**გემის გაპარვა.**

„ტაიმს"-ს კოპენჰაგენიდან ატყობინებენ: ომის დაწყების დროს ნორვეგიის ნავთსადგურში მოემწყვდა გერმანეთის გემი „პრინც ფრიდრიხ ვილჰელმი", რომელიც 1908 წელს ჩაუშვეს ზღვაში და 17100 ტონის ტვირთის მზიდველია. იგი საათში 18 ვერსს გადის. იგი დაემწყვდა ნორვეგიის ნავთსადგურ ტრომზეში. ეხლა ეს გემი გამოპარულა და გერმანეთის ნავთსადგურებისაკენ უქნია პირი.

## ახალი ტელეფონი.

საფრანგეთში მარკონს გამოუგონია ახალი უმავთულო ტელეფონი, რომლითაც 30 ვერსზე შეიძლება ლაპარაკი. ამ ტელეფონებს ესკადრებზედ მოაწყობენ.

# ქართულ თეატრის ისტორია

**თეატრალობის თვალსაზრისით *)**

მე-18 საუკუნის დასასრული ქართველ ერის სულიერ ტრაგედიის დასაწყისია. ზურმუხტოვან ქვეყანას წილად ხვდა ერთხელ კიდევ განეცადა საშინელი ისტორიული უკუღმართობა, წილად ხვდა უქობოთ დაეცალა შხამ-სამსალით აღსავსე ფიალა, ულმობელმა ბედმა რომ გაუწოდა. ქართველ ხალხის აქტიურმა სულმა არსებობისამ, დინამიკამ გრძნობათა განცდისამ მეტამორფოზის პროცესი განიცადა. ქართველს აღარ ძალუძს, რაკი მას დამოუკიდებელი თავისუფლება მოუსპეს, სულიერად ჩაეხლართოს სამშობლოს, ვით საღმერთებელ კულტს, ვით იდეას დიად ნების, ვით სიმბოლოს უნივერსალ ცხოველმყოფლობისას. მისი შემოქმედებითი მისწრაფება, რაციოს სალარო ჰკარგავს იდეას საქართველოსას და თავდავიწყებით გულშებორკილი მსოფლიო ბურუსში სევდიანად დასცურავს. ტრაგედიაში შობილი ქართველი სული კვლავ ისევე აქტივია. ჟამთა ვითარებამ მას მხოლოდ სახე უცვალა. ისტორიამ მოჰკლა ქართველი თავისუფალი, ქართველი ამაყი და გოროზი; ისტორიამ წარმოშვა ქართველი სევდის ქენჯნით, ვაების ძგერით. ინტენსივობა განცდისა მისთვის ორსავე მდგომარეობაში თანაბარია. ინტიმური სულის კრთოლვა ორსავე მხარეში ისევე ძლიერია, შეუპოვარი. თავისუფალი წინედ, მონობის უღელ ქვეშ სულიერ აღმაფრენას გაშმაგებით ესწრაფვის. ცხოვრების სიდუხჭირე, დღიური არსებობის სიბოროტ-სიმახინჯე, ფიზიკური ტანჯვა ვაება, უსაზღვრო უბედურობა ქართველ ერს მიწიერ შემოქმედების უნარს უსპობს. უსაქართველო ქართველ კაცს მთელი სულიერი საუნჯე გაბოროტებულ მერანად ჰქცევია და ცისა მორევში გაშმაგებული დანავარდობს. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „მერანი" განსახიერებაა ქართველ ერის სულიერ დრამისა მე-18 საუკუნიდან ვიდრე 1850 წლამდე. „მერანი" მთელი ეპოქის სარკეა. ვინ არის ეს მერანი, რომელიც მთა-ბარს, ტყეებსა და ღრეებს თავზე დაჰფრენს. რათ მოშორდა სამშობლოს, საქართველოს და მსოფლიო სივრცეში გაიჭრა? სად მიჰქრის, ან რა სურს მას? არაფერი. ცის არე-მარეში იგი უმიზნოდ, უგზო-უკვლოდ მიფრინავს.

„მერანი" ქართველ ხალხის დიონისია. მერანი—„მთელი" კულტია, სადაც ჩაქსოვილია ქართველ ხალხის გრძნობათა ლტოლვილება, ვნებათა თრთოლვა. მე-18 საუკუნის შემდეგ ქართველ კაცის უძლიერესი გრძნობა და ვნება, როგორც მერანი, ცის სივრცესღა მიჩერებია. დაინგრა მისი სათაყვანებელი კერპი და გაბოროტებულ სულს მსოფლიო ნავარდობაში ნავარდობით-ღა იქარვებს.

უგზო-უკვლო მიდამო, სადაც მერანი დაფრინავს, ბარათაშვილის ლექსითვე, კულტია აპოლონისა. ქართველ კაცის გრძნობას და ვნებას აღარა აქვს ფორმა, აღარ აქვს ადგილი, აღარ აქვს სახე, კულტი აპოლონისა. კულტი აპოლონისა ქართველ ერისათვის ხასიად იქცა. საქართველოს იდეის სიკვდილის შემდეგ მათთვის იგი უსაზღვრო სივრცედ გადაიქცა. აპოლონი ფორმის, უფორმობის აპოლონზე შეიცვალა.

თვით მგოსანი, მერანზე მჯდომი—ქართველის „მე"-ა. მხედარი თვით ქართველია. ქართველი ნება დაკარგული, ნება-მოკლული. მხედარი—ქართველი არა თუ არ ლამობს მერანის შეკავებას, შეჩერებას, პირიქით, შეგნებულად აღიზიანებს, აღშფოთებს მერანს.

შავი ყორანი, რომელიც თავს არ ანებებს მხედარს და მერანს თვალგანუწვდენელ სივრცეში და საზარელ ხმით მას გულს უკლავს, ეს ის განგება, ის ბედისწერაა, მე-18 საუკუნის დასასრულს საქართველოს რომ მოევლინა.

ვიმეორებ, „მერანი" ბარათაშვილისა—ჩვენი ტრაგედიაა. მასთანვე ამ ლექსის პოეზიაში საუცხოვოდ და შეუდარებლივ გამოხატულია ხელოვნების მთელი შემეცნება. აპოლონი და დიონისი ერთმანეთს მოსწყდნენ. ნება მოკვდა, განგება კი ამ გათიშვას ხელს უწყობს, რით და როგორღა შესძლებს ერი ხელოვნებაში თავისი სახე რელიგიურ ჰანგებში ჩამოაქანდაკოს.

და აი მერანიც მიფრინავს, მირბის და საზღვარი არ უჩანს მის ქენებას. არავინ იცის, საით მიისწრაფვის, არც ის, თუ სად გაჩერდება. არავინ იცის, როდის შესძლებს ქართველი კაცი თავის ნების აღდგენას, საქართველოს იდეის გაღვივებას, გრძნობათა და ფორმათა შეუღლებას. საჭირო ყოფილა ნახევარ საუკუნეზე მეტი დრო გასულიყო, რომ ერი ახალ სულიერ კერას მოჰბრუნებოდა. ორშაბათს, 1850 წელს, იანვრის 2 დიდებულმა მამულიშვილმა გ. ერისთავმა პირველმა ჩაჰყარა საძირკველი ამ კერისა, და მასთანვე, უჩვენა მერანს ის ნავთსადგური, სადაც დაბოლოს მას თავი უნდა შეეფარებინა. ორშაბათს, 2 იანვარ, 1850 წელს, გიმნაზიის ზალაში პირველად ქართულად წარმოდგენილ იქმნა გ. ერისთავის კომედია „გაყრა" და მით დაიდგა ის გრდემლი, რომელზედაც უნდა გამოიჭედოს ახალი ბუნების ქართველი. ამ ისტორიულ დღეს დაარსდა ტაძარი, სადაც ყოველი ქართველი, დღიურ ჭირვარამს მოშორებული, აპოლონ და დიონისის კულტის ექსტაზით საქართველოს იდეის განსახიერებას უნდა შეუსისხორცდნენ. დიდებულია ეს დღე, როგორც დასაწყისი დიად კულტურულ პროგრესისა.

ქართულ თეატრის ისტორია მეტად მარტივია. 1850 წელს გ. ერისთავის მეთაურობით, რომელსაც მაშინდელი მეფისნაცვალი ვორონცოვი ნივთიერად ეხმარებოდა, შესდგა, მუდმივი დასი და 5 წლის განმავლობაში თბილისში გამუდმებით ქართულ ენაზე წარმოდგენები იმართებოდა. ადრევე ქართულ თეატრის დაარსებისათვის ბევრს ჰფიქრობდა გიორგი ერისთავი, მაგრამ ამ საწადელის ასრულებას ბევრი დაბრკოლება ელობებოდა წინ. მთელ საზოგადოებაში თითო-ოროლა პირი თუ მოიპოვებოდა, რომელსაც კარგათ ჰქონდა შეგნებული თეატრის მნიშვნელობა. თვით საზოგადოება, რომელიც ბრწყინვალე წოდებისაგან შესდგებოდა, სადათას ძილს მისცემოდა. გონებრივად და ქონებრივად ის ძალიან დაქვეითებული იყო. მისი ცხოვრება ფუქსავატი იყო. ჩვენი უკულტურო არისტოკრატია ხანდისხან წარსულისაკენ თუ გადაიხედავდა ხვნეშით, თორემ მომავალი მას სრულებით არ აფიქრებდა. სულიერი მოთხოვნილება მას არავითარი ჰქონდა. ძალზე გაძღომა და ლოგინზე გაგორება, ლოთობა და ქორ-მეძებარი—აი მთელი მაშინდელი ცხოვრების შინაარსი.

ამავე დროს თვით ქართველი ხალხი უმწეოთ დასტიროდა თავის გაჭირვებულ ცხოვრებას.

მხოლოდ მცირეოდე პირთ-ღა და, მათს შორის, გ. ერისთავსაც შესტკიოდათ გული. გ. ერისთავს გულით და სულით უნდოდა თეატრის შემწეობით ქართველი ერის შემოქმედების სულის გაღვიძება, მაგრამ მისი განზრახვა, უსახსრობისა გამო, ჯერჯერობით შეუსრულებელი რჩებოდა. მხოლოდ მისი პიესა „გაყრა" ხელთნაწერი ვრცელდებოდა საზოგადოებაში და ნელ-ნელა ნიადაგს უმზადებდა თეატრს. რაკი ვორონცოვმა წლიურად 4,000 მანეთი დაუნიშნა, გ. ერისთავიც მუყაითად შეუდგა საქმეს და 5 წლის განმავლობაში სამუდამოდ განამტკიცა თეატრის არსებობის აუცილებლობა ჩვენში.

1855 წ. ვორონცოვი საქართველოდან წავიდა და თეატრის საქმეც აიწეწ-დაიწეწა. დასს ჯამაგირი ვეღარ მისცეს, შემოსავალი მას ვერ ინახავდა, გ. ერისთავმა ვეღარა გააწყო რა და იძულებული გახდა დასი დაეთხოვნა და თვითონ თავის მამულში წასულიყო. 6 წლის განმავლობაში გ. ერისთავის და მისი მარჯვენა ხელის ანტონოვის პიესები თითქმის ყველა წარმოდგენილი იქმნა. ორიგინალურ პიესების გარდა გადმოითარგმნა ბევრი უცხო ენის პიესებიც. ხალხი შეეჩვია თეატრს და 1855 წლის შემდეგ, როცა გ. ერისთავმა თავი დაანება თეატრს, ზოგიერთმა საქმის მოყვარულმა, ივანე კერესელიძის თაოსნობით, შეადგინეს ამხანაგობა. გამართეს საკუთარი სცენა, სადაც ორი წლის განმავლობაში დიდი ვაივაგლახით ჰმართავდნენ წარმოდგენებს. ბოლოს ეს ამხანაგობაც დაიშალა და დაწყებული საქმე სრულებით გაუქმდა. მართალია, ათასში ერთხელ კიდევ გაიმართებოდა ხოლმე კერძო ოჯახებში ქართული წარმოდგენები, მაგრამ მათ საზოგადო ხასიათი აკლდათ. ამ დროის განმავლობაში ყველაზე მეტი სამსახური თეატრისათვის მიუძღვისთ ბ. ავალიშვილს, ან. ფურცელაძეს და ალ. როინაშვილს. 24 წლის შემდეგ, სახელდობრ, 1879 წელს, შეადგინეს ამხანაგობა დიმიტრი ყიფიანმა, გიორგი თუმანიშვილმა, დავით ერისთავმა, ნიკ. ავალიშვილმა, იოსებ ბაქრაძემ, ალ. სარაჯიშვილმა და ილია ჭავჭავაძემ. შეაგროვეს ფული, დაარსეს დრამატიული კომიტეტი, გამოარკვიეს ამხანა-

*) სიტყვა, წარმოთქმული „ახალ კლუბში", იანვრის 2-ს.

# უკანასკნელი ცნობები

როგორც ამბობენ, საბერძნეთის ბლოკადას მოკავშირენი ათის დღის შემდეგ მოხსნიან, როცა ულტიმატუმის ყოველი მუხლი სისწორით იქნება შესრულებული. იმასაც ამბობენ, გენერალ სარაილს რომის კონფერენციის შემდეგ ფართო უფლება მიენიჭა, იარაღს მიჰმართოს იმ შემთხვევაში, თუ საბერძნეთის მუდმივი ჯარი მჭრულად მოექცა მოკავშირეთა.

—

საფრანგეთის კერძო ქარხნებში ჯარისთვის მომუშავე მუშები გაიფიცნენ ეკონომიურს ნიადაგზე.

—

გერმანოფილი ჰოლანდიელი კორესპონდენტი იტყობინება: გერმანეთმა გადასწყვიტა არ დაინდოს ინგლისის არც ერთი სავაჭრო გემი, თუნდაც ნეიტრალ სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი მოგზაურობდნენ ამ გემითაო.

—

უწმ. სინოდის განკარგულებით ცნობილი და გავლენიანი მთაშაველი ბერი მარდარი კავკასიაში წამოსულა.

—

პროტოპოპოვს სახელმწიფო მოღვაწეთათვის მოხსენება წარუდგენია და ამტკიცებს, საჭიროა მტკიცე მთავრობა და მმართველობითი ნებაო. უკეთუ მომავალი სათათბირო ახლანდელ პოლიტიკას განაგრძობს, უმალ დათხოვნილ უნდა იქმნას, ცენზურის ადგილი ამოედოს პრესას, კანტროლი მიეჩინოს საზოგადო ორგანიზაციებს და, ამასთანავე, ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ, რომ ყოველი კეთილ გონიერი ადამიანი დაკმაყოფილდესო. სახელდობრ: ყველგან უნდა შემოღებულ იქმნას ერობა, მოისპოს ამა თუ იმ ტერიტორიაზე მოსახლეობის განსაზღვრა და აღიარებულ იქმნას სვინდისის თავისუფლებაო.

# ახალი ამბავი

## ქართული დაწესებულებანი.

✦ **სოფლის ბიბლიოთეკები.** დ. მ. დუმბაძემ განცხადება მიართვა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას, რომ ფულით და წიგნებით დაეხმაროს საზოგადოების მიერ დაარსებულ ბიბლიოთეკას სოფ. ლიხაურში (გურია), ხოლო შემოქმედის ბიბლიოთეკას, გარდა ფულისა და წიგნებისა, გაუგზავნოს პორტრეტი ი. გოგებაშვილისა, რომლის სახელობაზედაც ეს ბიბლიოთეკა დაარსებულა. იმავე გამგეობას სთხოვა დ. გ. კარიჭაშვილმა დაარსოს სოფ. ხიდისთავში (ქართლი) ბიბლიოთეკა.

✦ **საბავშვო დილა.** ოთხშაბათს, იანვრის 4, „განათლების" საზოგადოების გამგეობამ კიპრიზოვის მიერ ნაანდერძევ სახლში (სურპ-სარქისის ქ.) თავისის და ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების სახელსაქმო სკოლების მოსწავლეთათვის გამართა დილა, რომელზედაც მრავალი ბავშვი მოგროვდა, ბავშვებმა ჯერ წარმოდგენა გამართეს, შემდეგ იმღერეს და ითამაშეს. დასასრულ, ბავშვებს გაუმასპინძლდნენ ტკბილეულობით. ბავშვები დიდად ნასიამოვნები დაიშალნენ. დილას დაესწრნენ „განათლების" ხელმძღვანელთა მთელი შემადგენლობა და ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე მ. ვ. მაჩაბელი და ზოგიერთი წევრები.

✦ **„კახეთის" საზოგადოებაში.** 3 იანვარს მევენახეთა საზოგადოება „კახეთი"-ს გამგეობა და მუშები შეთანხმდნენ: ღვინობისთვისა, გიორგობისთვისა და ქრისტეშობისთვის ჯამაგირის მომატების საკითხი უნდა გაირჩეს მომავალ საზოგადო კრებაზე. მუშებმა სადღესასწაულო ჯილდოთ ერთის თვის ჯამაგირი მოითხოვეს. გამგეობა მხოლოდ ნახევრის მიცემას დასთანხმდა. იანვრის 4 კანტორის მოსამსახურეებმა მუშებს სთხოვეს, ნახევარი ახლა მიიღეთ და მეორე ნახევრის მიღების საკითხის გადაწყვეტა საზოგადო კრებას მიანდეთო. მუშები დასთანხმდნენ და მუშაობას მიჰყვეს ხელი.

✦ **ეპისკოპოსი ანტონი** ამ დღეებში პეტროგრადს მიბრძანდება. მის მეუფებასთან ერთად წავა ტფ. საეპარქიო სანთლის ქარხნის გამგე მღ. ა. მიქელაძე სანთლის ქარხნების წარმომადგენელთა კრებაზე დასასწრებლათ.

✦ **დახმარება ქართულ სამეურნეო საზოგადოებას.** თბილისის გუბერნატორის განკარგულებაში გადაიდო კრედიტი 6,300 მანეთისა. აქედან ქართ. სამეურ. საზოგადოებას 1,200 მანეთი ერგო.

✦ **ქართულ საეკლესიო ფრესკების გამოფენა.** „დიდების ტაძარში" გოლოვინის პროსპექტზე გამოფენა გაიხსნება 8 იანვარს 1917 წ. 12 საათზე. გამოფენის გახსნის დღეს ბ-ნი ე. ს. თაყაიშვილი წაიკითხავს ლექციას ქართულ ფრესკების შესახებ. შესვლა პირველ დღეს 1 მან., მოწაფეთათვის—50 კ.

## სომეხთა შორის.

✦ **აბ. ა. ანანოვს,** რომელიც ამ დღეებში გარდაიცვალა, 200 ათას მანეთამდე დაუტოვებია სომეხთა სხვა და სხვა დაწესებულებათათვის. სხვათა შორის, სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებისათვის უანდერძებია 126 ათასი მანეთი.

✦ **სომეხთა მოღვაწეებს** იანვრის 3 თათბირი ჰქონდათ თავიანთ სოფლის მეურნეთა ეხლანდელ გაჭირვებულ მდგომარეობისა და ახეთ გაჭირვებიდან ხსნის შესახებ. თათბირს დაესწრო სახელმწიფო სათათბიროს წევრი ბ-ნი პაპაჯანოვიც. კრებამ დაადგინა მიანდოს სომეხთა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას შედგენა ორგანიზაციის, რომელიც ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს მეურნეებს. დეპუტატმა პაპაჯანოვმა იმ დღესვე იშოვა მთავრობისაგან 300 ათასი მანეთი საქმის პირველ ხანად გასაძღოლად.

## სხვა და სხვა ამბები.

✦ **სტ. ჭრელაშვილის** ცხედარს დაასაფლავებენ შაბათს, 7 იანვარს. წირვა დაიწყება ქვაშვეთის ეკლესიაში დილის 10 საათზე. წირვის შემდეგ ცხედარს გაატარებენ ერევნის მოედნით, საცა საქალაქო სახლთან გადახდილ იქნება მეორე პანაშვიდი. შემდეგ ცხედარს მიასვენებენ დიდუბის ეკლესიის გალავანში და იქ მიაბარებენ მიწას.

— ქალაქთა კავშირის განყოფილებამ დაადგინა გვირგვინი დაადვას განსვენებულის კუბოს.

— ბათუმის ქალაქის მოურავი ბ-ნი კრინიცკი თავის მხრივ და ბათუმის ქალაქის თვითმართველობის სახელით სამძიმარს უცხადებს თბილისის ქალაქის თვითმართველობას სტ. ჭრელაშვილის გარდაცვალების გამო.

✦ **განსვენებულის სტ. ჭრელაშვილის** გვამი გასჭრეს და აღმოაჩნდა, რომ გულის მანკი ჰქონია და მიზეზიც ისა ყოფილა სიკვდილისა.

✦ **დეკანოზი მ. დევიძე.** მეტეხის სატუსაღოს მღვდელი, იანვრის 4 დაასაფლავეს. განსვენებას დიდძალი ხალხი დაესწრო.

✦ **გაფიცვა სტამბაში.** „ქართლი"-ს სტამბის ასოთ-ამწყობებმა და მბეჭდავებმა სტამბის პატრონს თ-დ ციციშვილს, სიძვირის გამო, 30 პროც. მომატება მოსთხოვეს. თ-დ ციციშვილმა არ დააკმაყოფილა მუშების მოთხოვნილება და მუშებმაც სამუშაოს თავი მიანებეს.

✦ **ფუთი კარტოფილი** საქალაქო სასურსათო დუქნებში ფასობს 1—50 კაპ.

✦ **სასაკლაოს დათვალიერება.** ოთხშაბათს, იანვრის 4, ქალაქის სასაკლაო დაათვალიერეს ბ-ნმა თბილისის გუბერნატორმა ფლიგელ-ადიუტანტმა მანდრიკამ, ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა და გამგეობის წევრმა ა. მ. არღუთინსკიმ. სასაკლაოზე მრავალი ნაკლულევანება შენიშნეს.

✦ **მეპურეების მადიანობა.** მეპურეებმა თხოვნა მიართვეს ქალაქის გამგეობას, რომ ვზარალობთ, ვიღუპებით და პურის ნიხრი გაადიდეთო. გამგეობამ ეს თხოვნა სასურსათო კომისიას გადასცა.

✦ **ტრამვაის** ყველა დარგის მოსამსახურეებმა ჯამაგირის მომატება სთხოვეს ქალაქის გამგეობას, მაგრამ გამგეობამ ყველას უარი გამოუცხადა.

✦ **ფრესკების გამოფენას** საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო და ხელოვანთა საზოგადოებანი აწყობენ.

## ქუთაისი

ქუთაისის სამეურნეო საზოგადოებაში ბეჟათამა ფარცვანიძემ მოხსენება წაიკითხა. გამოირკვა, რომ საქონლის ჭირი საშინლათ მძვინვარებს მთელს ქუთაისის გუბერნიაში და ისედაც გაღატაკებულ და განიორწყვლებულ მკვიდრთ საშინლად აღატაკებს. სოფ. კულაშსა და დიდ-ჯიხაიში ამ მოკლე ხანში 1,040 სული საქონელი გაწყვეტილა, 150 ათას მანეთად ღირებული. სოფლელთათვის კი მხოლოდ 50 ათასი მანეთი მიუციათ ზარალის ასანაზღაურებლათ, სხვაგანაც ასეთივე ამბებია. საქონელს უცრიან, მაგრამ ძალიან ცოტას, რადგან შრატის შოვნა აღარ არის.

## გორი.

პარასკევს, 6 იანვარს, ქ. ელ. ჩერქეზიშვილის და ვასო აბაშიძის მონაწილეობით გაიმართება სადღესასწაულო საღამო-მეჯლისი. წარმოდგენილი იქნება რამდენიმე ვოდევილი—მინიატურები: I „არივ დარია", II „ჯამბაზი" და III „ჯერ დაიხოცნენ და მერე იქორწინეს". უმთავრეს როლებს შეასრულებენ ელ. ჩერქეზიშვილი და ვას. აბაშიძე.

— პროფესორ ალ. ხახანაშვილის ანდერძის თანახმად, განსვენებულის სახლი გორის ქალაქის თვითმართველობას უნდა ჩაებარებინა. განსვენებულის მემკვიდრეთ ქალაქს დავა აუტეხეს. თბილისის სასამართლო პალატაში საქმე ქალაქის სასარგებლოთ გადაწყდა.

## მოსკოვი

პოეტმა ბალმონტმა გამართა თავის ოჯახში კერძო საღამო, რომელზედაც მიიწვია მწერლები, მხატვრები და მუსიკენი—რუსნი, პოლონელნი და ქართველნი და წაუკითა რუსთველის პოემის უკანასკნელ კართა თარგმანი; ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარის თანაშიარმა ბ. მიხეილ ზანდუკელმა მადლობა გადაუხადა პოეტს მის შრომისათვის. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე რუს პოეტმა იურგის ბალტრუშაიცისმა, ტიტე ტაბიძემ & სხ.

## ბაქო

ცნობილმა ქველმოქმედმა აკაკი ხოშტარიამ 12 ათასი მანეთი შესწირა ადგილობრივს ქართულ დრამატიულ საზოგადოებას სათეატრო გარდერობისა და ბიბლიოთეკისთვის.

## ბათომი

ჭოროხის გაღმა მხრიდან აუარებელი ფორთოხალი შემოაქვსთ წლევანდელის მოსავლისა. ფორთოხალი 3—5 კ. ფასობს თითო.

## სამტრედია

მოხდა საზოგადო კრება მასწავლებელთა საზოგადოების ადგილობრივს განყოფილებისა. აირჩიეს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები. არჩეულ იქმნენ: ქ-ნნი რამიშვილისა და ფრანგიშვილისა, ბ-ნნი ახობაძე და კინწურაშვილი.

## გროზნა

გროზნაში სდგება ახალი ამხანაგობა ნავთის მრეწველთა. სახელად ამხანაგობას ერქმევა „ქართული სანავთო ამხანაგობა". მოთავენი არიან: თ-დი წულუკიძე, ლ. ლომთათიძე, მ. სულუხია, მ. კილოსანიძე და ვ. გიგინეიშვილი. საქმის მეთაურებმა მიმართეს შეძლებულ ქართველთ და სთხოვეს პაიები იყიდონ. თან აცნობეს, რომ ამხანაგობა მხოლოდ ქართველთაგან იქნება შედგენილი; ამხანაგობასვე განზრახული აქვს შეიძინოს ნავთიანი ადგილები, რომელთაც შემდეგში თვითონვე ამხანაგობა დაამუშავებს. ამ აზრის განსახორციელებლად უნდა შეიკრიბოს კაპიტალი 30 ათას მანეთისა. მთელი კაპიტალი 30 პაიად იქნება დანაწილებული, თითო პაი ათას მანეთიანი იქნება. მეპაეს შეეძლება მხოლოთ სრული პაი იყიდოს, ხვედრი ფული ორ ნაწილად შეიტანოს, ჯერზე 500 მან.

# † სტეფანე ჭრელაშვილი

(ნეკროლოგი)

სამწუხარო ამბავი გავრცელდა გუშინწინ ქალაქში: უეცრივ გარდაიცვალა ჩვენი საზოგადო მოღვაწე, მწერალ-პუბლიცისტი, ხმოსანი თფილისის საბჭოსი და დიდი მცოდნე ქალაქის საქმეებისა სტეფანე თეოდორეს ძე ჭრელაშვილი.

განსვენებულმა სამწერლო მოღვაწეობა ადრე დაიწყო—ორმოცი წლის წინად, ჯერ ისევ სულ ახალგაზდამ. მისი პირველი ვრცელი წერილი ქიზიყიდან „ტატალას" ფსევდონიმით დაიბეჭდა გაზ. „დროებაში" 1875 წელს და ამ პირველმავე „წერილმა" სახელი მოუხვეჭა ქართულის კარგის მცოდნისა, გონება-მახვილის მწერლისა, სოფლის ავ-კარგის მცოდნისა და მშობელი ერის დიდი გულშემატკივარისა.

მაშინ სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, მაგრამ მალე შეიძულა იქაური წესი სწავლა-აღზრდისა, არ დაამთავრა იქ სწავლა, დაანება თავი მესამე კლასშივე და პეტროგრადს გაემგზავრა თვითგანვითარებისათვის. იქ შეირთო ცოლად დიდის ვაჭრის, პავლე საფაროვის ქალი, სიღნაღელი, რომლის უფროსი დაი იჩქინერს ფლორენსკისა ჰყავნდა ცოლად.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ცოტა არ იყოს, გაუჭირდათ ცხოვრება ჩრდილოეთის დიდს ქალაქში, რადგან ცოლი მისი მამის უნებურად და გაპარვით იყო წასული პეტროგრადს თავის უფროს დასთან და ძმასთან. სტეფანეს პირველ ხანში ეხმარებოდა ბიძა, ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორი ილია ოქრომჭედლიშვილი, მაგრამ ახალგაზდა, გატაცებული დისწული ვერ რიგდებოდა ჭკუა-დამჯდარ, დარბაისელ ბიძასთან და მათი ურთიერთობა მალე უსიამოვნებით გათავდა.

ქალაქში დაბრუნებული დაცოლშვილიანებული სტეფანე შეუდგა პრაქტიკულ საქმიანობას და თან თანამშრომლობდა ჟურნალ „იმედში", რომელიც ებრძოდა „ივერიასა" და „დროებას", როგორც ზომიერ მოლიბერალო ორგანოებს, თავად-აზნაურობისა და ბურჟუაზიის ორიენტაციის მიმდევრებს. ჟურნალმა დიდხანს ვერ იბოგინა, მოინათლა ქართველ „ნაროდნიკების" მომხრედ და ტეტიათა მოტრფიალედ და სული განუტევა.

1883 წელს განსვენებული სტეფანე, ამ ერთი თვის წინად გარდაცვლილი მიხეილ ყიფიანი, განსვენებული ალ. ნანეიშვილი და ეგნატე იოსელიანი, რომელიც დღესაც დღეგრძელობით ბრძანდება, გაგზავნილ იქმნენ 3 წლით ადმინისტრაციის განკარგულებით ციმბირში, ალბად იმიტომ, რომ ბრალი დასდეს რუსეთში ყოფნიდროსვე და შემდეგ საქართველოშიაც მჭიდრო კავშირი გქონდათ რუსეთის ნაროდნიკებთან, რევოლიუციონერებთანაო; გაგზავნეს იქ, საცა იყვნენ წინადვე გაგზავნილი 71 კაცის პროცესის შემდეგ თ. ციციშვილი, ანთ. გამყრელიძე, ივ. ჯაბადარი და გ. ზდანოვიჩი.

სამის წლის შემდეგ დაბრუნდნენ სამშობლოში ჩვენი გატანჯულნი და გაწამებულნი ახალგაზდანი და უკვე გამოცდილნი, დადუღებულნი, შეუდგნენ ინტენსიურს მოღვაწეობას საზოგადოებრივსა და [illegible] ასპარეზზე. სტეფ. ჭრელაშვილი მოჰყვა მაშინ „ივერიის" რედაქციაში და თავგამოდებით მუშაობდა, ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, „სანოს" ფსევდონიმით. ამავე დროს დაიწყო განსვენებულმა სამუნიციპალიტეტო მოღვაწეობა. პირველად სულ მცირე ადგილი დაიჭირა 1887 წელს ქალაქის თვითმართველობაში, მაგრამ მალე გამგეობის საქმის მწარმოებლის ადგილი მიიღო. არ გასულა დიდი ხანი, რომ განსვენებული საბჭოს მდივნად იქმნა არჩეული. წერა არამც თუ ქართულად, არამედ რუსულადაც ძალიან ემარჯვებოდა განსვენებულს და აქ შედარებით დიდს და მძიმე თანამდებობას, იმ თანამდებობას, რომელზედაც სამსახურით დიდი სახელი დაიმსახურა მამაცმა ქალაქის მოურავმა პავლე იზმაილოვმა, შესამჩნევის წარმატებით ასრულებდა. სრული ოცი წელიწადი იმსახურა განსვენებულმა ქალაქის თვითმართველობაში, დაიმსახურა პენსია და მას უკან სიკვდილამდე განაგრძო კვლავ სამსახური ქალაქის ინტერესებისა ხმოსნის წოდებით და ფუნიკულიორის დირექტორობით.

ჯერ საბჭოს მდივანი და მერე ხმოსანი სტეფ. ჭრელაშვილი უსაჭიროესი კაცი იყო თვითმართველობაში, როგორც დიდი მცოდნე ყოველის საქალაქო საქმისა. განსვენებულმა ზედმიწევნით იცოდა ყოველი ასავალ-დასავალი, კუთხე და ყური თვითმართველობის საქმიანობისა, კანონ-მდებლობისა, ქალაქის რთულის მეურნეობისა. უმისოდ, იმის დაუკითხავად, ვერც ერთი ხმოსანი ვერას მიხვდებოდა, საქმეს ვერ იპოვიდა, ვერას გაარიგებდა. ამიტომ სტ. ჭრელაშვილი ყოვლად-საჭირო კაცი იყო თვით-მართველობაში, სხვა და სხვა კომისიაში. გარდაცვალების წინა დღესაც, საბჭომ განსვენებული აირჩია თავის წარმომადგენლად მომავალ მარტის საკურორტო კრებაზედ. დამსწრენი ამბობენ, რომ საბჭომ თითქმის ოვაცია გაუმართა თავის უხუცესს წარმომადგენელს და ისე დაავალა ეს საპატიო თანამდებობაო.

ვინ იფიქრებდა იმ საღამოს, რომ სიკვდილი უკვე თავს დასტრიალებდა მხცოვანს მოღვაწეს და მეორე დღეს დილით უეცრივ ხელიდან გამოგვეცლებოდა დამსახურებული, გამობრძმედილი, ბევრის მცოდნე და მომსწრე, ყოვლად გამოსადეგი და სასარგებლო მებრძოლი ჩვენის საეროვნო ინტერესებისათვის. გამოგვეცლებოდა ხელიდამ ამ უმაგალითო სახსრის დროს, ამ მსოფლიო ომის დროს, როცა, ვინ იცის, რა ხიფათი და განსაცდელი მოელის ჩვენს პატარა ერს, ჩვენს ძვირფას სამშობლო ქვეყანას და როცა ერთი გამოცდილი, გონებადინჯი, გულმხურვალე მამულიშვილი ერთ ჯარადა ჰღირს. გულ მაგარი, გაუტეხელი, ნამდვილი ქიზიყელი იყო განსვენებული. ვსცეთ პატივი მის ხსენებას და ნურც ჩვენ გავიტეხთ გულს, არამედ მივსდიოთ მის მაგალითს, ვილვაწოთ, ვიდრე პირში სული გვიდგია, ერთობით, ხელი-ხელს ჩაკიდებულებმა, იმ იმედით, რომ, იქნება, ჩვენც გაგვეღიმოს ბედმა და აღმოგვიბრწყინდეს დღე სიხარულისა, თავისუფლად ამოსუნთქვისა.

გრ. ყიფშიძე.

გობის წესდება და 5 სეკტემბერს, 1879 წელს ჩაჰყარეს საძირკველი სამუდამო სცენისა. ამ დღეს წარმოდგენილი იქმნა კნეინა ბარბარე ჯორჯაძის კომედია, „რას ვეძებდი და რა ვპოვე".

1880 წელს კომიტეტმა ხელი აიღო თეატრზე და მეთაურობა ვასო აბაშიძემ და კოტე მესხმა იკისრეს. მათ შემდეგ თეატრი აკაკის ხელში გადადის. მალე უკანასკნელმაც დაანება თავი და თეატრის ხელმძღვანელობა ისევე დრამატიულ კომიტეტმა იკისრა.

აი მოკლედ ქართულ თეატრის ისტორია. საზოგადოთ თეატრის განვითარება—დრამისა და სცენის, ლიტერატურისა და თეატრალობის განვითარებაა. ყოველივე დრამა მაშინ არის ეროვნული, როდესაც ეროვნულია სცენიურობა დრამისა. დრამის დედა აზრი, მოქმედება შეიძლება კოსმოპოლიტური იყოს, სცენიურობა კი დრამისა აუცილებლივ ეროვნულია. მეტყველაპარაკო თეატრის მხრივ, აპოლონ და დიონისის კულტების შეუღლების თვალსაზრისით. სცენიურობა დრამაში—კანვაა მოქმედებისა, ფორმაა დრამის მოქმედებისა. აგრეთვე თეატრალობა სახეა სცენისა, ფორმაა სცენაზე წარმოდგენილ დრამისა. ყოველივე დრამა სხვა და სხვა სცენაზე ყოველთვის სხვა და სხვა თეატრალობაში იხატება. ყოველივე სცენა განიზომება შექმნილ თეატრალობით, როგორც ყოველივე დრამა განვითარებულ მოქმედების სცენიურობით. აი, თუ ამ [illegible]ცეპციის და ამ გეგმის მიხედვით დგებით ჩვენი თეატრის ისტორიის განხილვას, დავინახავთ, რომ ქართული თეატრი, როგორც საკუთრივ თეატრი, ჯერაც ისევე თეატრის ისტორიის პირველ სტადიას განიცდის. თეატრის ისტორია მაშინ არის დიდათ ღირსშესანიშნავი, როდესაც დრამატიული ხელოვნება ერის იდუმალ გრძნობას და სულიერ ვითარებას ეწაფება, განსახიერებას და კულტის შექმნას ლამობს. 2 იანვარს 1850 წელს ჩვენში დაარსდა თეატრი—გამრთობი და დღევანდლამდე მას ეს სახე არ უცვლია. თვით დრამის განვითარება ამისივე დამამტკიცებელია. ჩვენში უმთავრესად განვითარება მიიღეს კომედიებმა, ვოდევილებმა და ისტორიულმა პიესებმა. პირველს საძირკველი ჩაუყარა გ. ერისთავმა თავის კომედია „გაყრა"-თი, მხოლოდ მეორეს დ. ერისთავმა „სამშობლო"-თი. მას შემდეგ ყოველისფერი იწერება ამ ორ პიესის ზედგავლენით. როგორც კომედიები, ისევე ისტორიული პიესები დრამატიულ ხელოვნების მხრივ მეტად სუსტობენ. ყოველივე მათში არა თუ არ არის დაცული მოქმედების განვითარება და სცენიურობა, წმინდა ლიტერატურის მხრივ საშინელ ტენდენციებითაა სავსე და მცირე მიზანი აქვთ დასახული. დრამა საქართველოში ქართველ ხალხის ცხოვრების კვინტ-ესენციას კი არ ეტრფის, არამედ ცდილობს ზოგიერთი მხარეები ამა თუ იმ წოდებისა, რაც კი შეიძლება, გაამასხაროს. რომ ჩვენში დრამა-კომედიამ შესაფერისი განვითარება ვერ მიიღო, ამტკიცებს ის გარემოება, რომ საზოგადოთ თეატრში და არა მარტო სცენაზე თითქმის დღევანდლამდე აქტივია მსახიობი და არა დრამატურგი. მაშინ როდესაც უცხო ქვეყნებში დრამა ჰქმნის სცენას, სახიობას, ჩვენში სცენა უკარნახებს და ჰქმნის დრამას. მთელი რიგი ავტორებისა სწერენ მხოლოდ იმიტომ, რომ საზრდო მისცენ ამა თუ იმ მსახიობს. მე დარწმუნებული ვარ აუარებელი პიესები დაწერილია მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ სცენას ჰყავს ვ. აბაშიძე. ავტორი თავის ნაწარმოებს უპირველესად მსახიობს უქვემდებარებს. დღევანდლამდე ჩვენ არა გვაქვს არც-ერთი ნამდვილი კომედია, თუმცა 66 წელიწადია მხოლოდ კომედიების გარშემო ვტრიალებთ.

ესევე ითქმის სცენიურ თეატრალობაზე, დრამის განსახიერებაზე სცენაზე. ქართულ თეატრის დაარსებისა დღიდან ვერსადა ჰპოვებთ იმის ნიშანს, რომ ჩვენს თეატრში ადგილი ჰქონოდა ეროვნულ თეატრალობის მცირეოდენ შესწავლა-კვლევა ძიებას. ყოველივე დრამა ჩვენს სცენაზე იდგმება და ისახება ისევე, როგორც 1850 წლებში. არ ყოფილა მაგალითი, რომ დრამის ინტერპრეტაციას სცენისათვის სულ უბრალო კამათი მაინც გამოეწვიოს ხელოვანთა შორის. მაშინ როდესაც საზოგადოთ სცენიურ ხელოვნებაში სწორედ ეს საკითხია მეტის-მეტად თავპირსამტვრევი; მრავალი შრომა და უნარი სწორედ თეატრალობის ფორმის გამოკვლევაზე იხარჯება; გაუნელებლად ინგრევა ერთი მცნება, შენდება მეორე; ჩვენში 66 წლის განმავლობაში დრამა ჩვენს სცენაზე შაბლონურ, უგემო განსახიერებას ჯერაც არ გასცილებია. ჯერაც არ ვიცით, როგორი უნდა იყვეს კულტი აპოლონისა, რა ფორმები უფრო შეეფერება ქართველ კაცის სულიერ დრამის გადმოცემას. ამის ერთადერთი მიზეზია ის გარემოება, რომ დრამა ექვემდებარება სცენას და არა სცენა-დრამას. მხოლოდ ჩეხოვის და ოსტროვსკის პიესებმა შეაძლებინეს სტანისლავსკის, სანინს, ნემიროვიჩ-დანჩენკოს, განსვენებულ სულერჟიცკის, ოზეროვსკის ეროვნულ თეატრალობის დამუშავებას შესდგომოდნენ. სცენის ხელოვანი ჰქმნის იმას, რასაც ხელოვანი დრამისა მას აწვდის. ნათქვამიდან ცხადია, რომ ჩვენმა თეატრმა დღევანდლამდე ვერ მოგვცა ვერც ეროვნული დრამა და ვერც ეროვნული თეატრალობა.

სამაგიეროდ, ქართულმა თეატრმა შექმნა თეატრალობა კერძო, ინდივიდუალური, ამა თუ იმ მსახიობისა. დიდებული ადამიანია ვასო აბაშიძე, არა როგორც მსახიობი, არამედ როგორც პირველი შემქნელი და საძირკვლის ჩამყრელი ეროვნულ თეატრალობისა კომედიაში. თეატრალობის განვითარება ამ დარგში უსათუოდ გაგრძელება იქნება ვ. აბაშიძის მიერ შექმნილ თეატრალობისა. მთელი მისი განსახიერება ნამდვილი ქართულია, მხოლოდ ჩვენი. მის მიერ შექმნილი სასცენო ფორმები, თეატრალობა სცენაზე ქართული კულტურაა. ვერც ერთი ნიჭიერი მსახიობი გვერდს ვერ აუხვევს ვ. აბაშიძის თეატრალობას. მხოლოდ მასში ჰპოვებს შემოქმედების წყაროს. იგივე ითქმის საფაროვ-აბაშიძეზე, რომლის მიერ ისევე ჩვენი თეატრალურ ხელოვნებისათვის შექმნილი თეატრალობა უსათუოდ დედაბოძად დაედება მომავალ სასცენო ხელოვნებას. დღესაც ყოველ ახალ მსახიობში ჩვენა ვხედავთ მინიატიურულ ვასო აბაშიძეს, საფაროვ-აბაშიძეს, ლადო მესხიშვილს და სხვა. საგმირონია საქმენი მათნი მიტომ, რომ თეატრალობის შესაქმნელად ჩვენს საზოგადოებაში დღესაც არავითარ საზრდოს შოვნა არ შეუძლიათ. ყოველისფერს, რასაც ჩვენ კულტურულ საზოგადოებაში დაინახავთ, თეატრალობის მხრივ უსათუოდ ესტეტიური სირცხვილი უნდა გამოიწვიოს. ძნელად თუ შეხვდებით თბილისში ახლაც ისეთ ინტელიგენციის ოჯახს, სადაც ოთახების მოწყობილებას სულ მცირე ესტეტიური ნიმუში მაინც ეჯდეს. ძნელად თუ შეხვდებით ინტელიგენტ ქალს თუ კაცს, რომელიც თავის გარეგან მოძრაობაზე, მოწყობილებაზე ოდნავ მაინც ჰფიქრობდეს. დააკვირდით ქართველ ვაჟს, ქართველ ქალს, როდესაც იგი ან ჯდება სკამზე, ან დგება, ან დადის, ან თავს გიკრავსთ, და დარწმუნდებით, რომ მართლაც მისი მოძრაობა ესტეტიურად სირცხვილია. ასეთ პირობებში ის ქართველი მსახიობი, რომელმაც თავის ნიჭით და მხოლოდ პირადი უნარით თეატრალობას საძირკველი ჩაუყარა, მართლაც კულტურული გმირია.

აი ყველა ეს ნებას მაძლევს ვაღვიაროთ, რომ ქართულ თეატრის ისტორია, უპირველესად ქართველ მსახიობის ისტორიაა. როგორც რუსეთში თეატრალურ ხელოვნების დასაწყისს მაჩალოვში და კარატიგინში ჰხედავენ, ისევე ჩვენი თეატრალურ ხელოვნების ისტორია ვასო აბაშიძისა, საფაროვ-აბაშიძისა და მესხიშვილისაგან იწყება. თეატრალ ხელოვნებას მათ ჩაუყარეს საძირკველი და ისტორიაც მათვე დაიწყეს.

ორშაბათს, 2 იანვარს 1850 წელს გ. ერისთავმა სათავე დაუდო დიდებულ კულტურულ პროგრესს. თეატრის მხრივ მან მხოლოდ პრიმიტივი მოგვცა, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ისტორია პრიმიტივს გვერდს ვერ აუხვევს. დიდება ერისთავისა იმაშია, რომ ქართველ სულის ვითარებას მყუდრო ნავთსადგური გაუჩინა. კულტურა თეატრისა—უმაღლესი კულტურაა ერისა და ჩვენც გვწამს, რომ ქართველი იპოვის სახეს და გაალმერთებს თავის შემოქმედების იდეას თეატრალურ ხელოვნებაში. ბარათაშვილის „მერანში" გამოსახული სულიერი დრამა ქართველ კაცისა მხოლოდ აქ ჰპოვებს თავის ფორმას.

სამწუხაროდ, ქართულ თეატრს უკანასკნელ წლებში კვლავ დაატყდა საშინელი უბედურება. შავი ყორანი მერანთან მყოფი ცეცხლის სახით მოევლინა ჩვენს თეატრს და ძირიანად გადაჰბუგა. მას შემდეგ ქართული დრამატიული ხელოვნება მშობლიურ კერას მოსწყდა და მისი მესვეურნი ქუჩაში დარჩნენ. ქართველ საზოგადოების ვალია, თუკი მას სწამს სამშობლო კულტურა, თუკი ჰფიქრობს პირნათლად შეხვდეს მომავალს, სურს წარსწარსდგეს კაცობრიობის წინაშე ვითა შვილი კულტუროსან ერისა, იზრუნვოს დაუყოვნებლივ ქართულ თეატრის აგებისათვის. მხოლოდ ის არის ჩვენში ქართველი, ვინც ქართულ ხელოვნებას გულით და სულით ეტრფის. ვიცოდეთ ეს და ყოველთვის გვახსოვდეს.

ალექსანდრე ახმეტელი.

## ხარკოვის სტუდენტების ცხოვრებიდან

არა მგონია რომელსამე საუნივერსიტეტო ქალაქში მოხდეს ისეთი რამ, რაც ხარკოვის ქართველ სტუდენტობის ცხოვრებაში ხდება. პირდაპირ გული უკვდება გარეშე მაყურებელს, როცა ამისთანა ანორმალურ მოვლენებს ხედავს სტუდენტთა ცხოვრებაში. უნებლიეთ ებადება აზრი: ნუთუ ეს ის სტუდენტობაა, ვისზედაც მთელს თავის იმედებს ამყარებს გაპარტახებული სამშობლო? ნუთუ ეს ის სტუდენტობაა, რომელთაგანაც ხსნას ელის ქართველი ერი? ნუთუ ეს ის სტუდენტობაა, რომელთაც სამშობლოს ბედიღბლის მესვეურობა უნდა ჩაიბარონ? მაგრამ ღმერთმა დაიფაროს ეს რომ ასე იყოს და მთელს ქართველ სტუდენტობაზედ ითქმებოდეს. მეტი ნაწილი ქართველ სტუდენტობისა მუყაითად მისდევს კულტურულს მუშაობას და პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, ხოლო მკითხველი უნებლიედ მკითხავს, მაშ რაში გამოიხატება ეს რაღაც უცნაური ანორმალობა, რომელსაც აუძულებია პატივცემული ავტორი, თავი შეეწუხებინა და კალმისათვის მოეკიდნა ხელიო.

მომითმინეთ, ბატონო. საქმე ის გახლავსთ, რომ აქ არსებობს სტუდენტთა ერთი ჯგუფი, ი. ჟ—ტის მეთაურობით, რომელმაც მიზნად დაისახა, გარდა ზოგიერთებისა, რომელნიც გაუგებრობის მსხვერპლნი შეიქნენ, თორემ ჯგუფთან და მით უმეტეს მის მეთაურთან, საერთო არა აქვსთ-რა, რაც შეიძლება მეტად შეუშალონ ხელი სტუდენტთა კულტურულს მუშაობას, რაც შეიძლება მეტი დისხარისხ შეიტანონ სტუდენტთა საერთო ცხოვრებაში. როდესაც ბ. ტიბერმა, გაზეთ „მეგობრის“ ფურცლებზედ დაჰგმო ჯგუფის ასეთი პოზიცია, ამან დიდი აურზაური გამოიწვია. ჯგუფმა ცნობარის ბარათით სათვისტომოს გამგეობას მიჰმართა: „ჩვენ ვიცით სათავე მდღვრიე წყლის მომდინარეობისა, კატეგორიულად მოვითხოვთ გამგეობამ ან უარ ჰყოს ტიბერის შეხედულება და ამით აღადგინოს მათი პრესტიჟი, ან დაადასტუროს მისი აზრი, სათვისტომოს გამგეობა სცრუობს და სხვა“. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იხსნიდა თავიდგან ყოველგვარ პასუხისმგებლობას რაიმე არა სასურველ მოვლენის გამო, რომელსაც, შეიძლება, ადგილი ჰქონოდა მომავალშიო. ჯგუფის თავი ბატონი ჟ—ტი კი, ჩემის ყურით გავიგე, როცა ამას ამბობდა: „რომ გავიგო, ვინ არის ტიბერი, პირდაპირ მოვკლამო“.

სათვისტომოს გამგეობამ ჯგუფს პროტესტი განუცხადა შეურაცყოფისათვის. ამან უფრო აღელა და გააცხარა ჯგუფი, დაირაზმა, შეიარაღდა და თუ ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა ამ მოვლენას, შეიძლება არასასურველად დამთავრდეს და ბატონმა ტიბერმაც, ერთს მშვენიერს დღეს, ისეთივე სიამოვნება განიცადოს, როგორიც ამას წინეთ, განიცადა ერთმა კორესპონდენტთაგანმა ქ. ოზურგეთში. ბატონნი ჯგუფისტები შეიარაღებულები დადიან და სტუდენტობას ცალკცალკე აშინებენ და თხოულობენ, რომ სტუდენტობამ მათ ხელი მოუწეროს თანაგრძნობის ბარათზედ. მაგრამ იცოდნენ ბატონებმა, რომ სტუდენტობის საერთო ძალას ამით ვერ შეაშინებენ, ვურჩევ ჯგუფისტებს როგორმე ისევ კულტურულის საშუალებით მოაგვარონ საქმე, თორამ მუშტით და იარაღით ღელოს ვერ გაიტანენ და სტუდენტთა მასსასაც უფრო ჩამოშორდებიან. სათვისტომოს გამგეობა, როგორც გავიგე, უბრალო პროტესტით კმაყოფილდება, მაგრამ სტუდენტობა კი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უნდა მოსთხოვოს გამგეობას, გამორიცხოს სათვისტომოდგან ულირსი წევრები. თვით სტუდენტობამ კი საერთოდ უნდა გამოუცხადოს ბოიკოტი ჯგუფისტებს და ამით აგრძნობინოს მათ, რამდენად დასაგმობია მათი ასეთი საქციელი. გამგეობის შეურაყოფით ჯგუფისტებმა შეურაცყვეს მთელი სტუდენტობაც, თუ ეს უკანასკნელი გამომხატველია სტუდენტობის საერთო სახისა.

ულირსნი ღირსნი არიან საერთო მსჯავრის დადებისა. ნუთუ ყოველივე ეს ანორმალობათ არ უნდა ჩაითვალოს? ნუთუ დიდ ცოდვად უნდა ჩაითვალოს დეფექტებზედ მითითება? ნუთუ ყველა ამის შემდეგ ჯგუფისტებს შეუძლიათ თავიანთ თავს კულტუროსნები უწოდონ?

ი—ე—ლი.

## წერილი ბაქოდან

ამ ბოლო დროს განსაკუთრებულის ენერგიით დავიწყეთ ზრუნვა ჩვენის ჭირვარამისათვის. მანამდე თუ მხოლოდ სიტყვით ვმსჯელობდით ხოლმე, ამ ჟამად, თუმცა პირველი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ აკადემიურ მსჯელობას და კაბინეტურ ბაას პრაქტიკული ნაბიჯიც მივაყოლეთ. ამის ნიშნებს აშკარად შეამჩნევს, ვინც ჩაუკვირდება ჩვენის ცხოვრების უკანასკნელ დროის მოვლენათ.

ამ მხრივ, ბაქოელ ქართველობას დიდი წინმსვლელობა ეტყობა. ჩვენს ცენტრში—თბილისსა და ქუთაისში,—სადაც უფრო ძლიერი უნდა იყოს ეროვნული მაჯისცემა, რადგან მთელის ერის საუკეთესო ძალებს იქ მოუყრიათ თავი, კაბინეტურ სჯა-ბაასს ჯერაც ვერ გასცილებიან და ბაქოელნი კი უსიტყვოთ, პირდაპირ საქმით იწყებენ, მათ არ უყვართ გრძელი და ლამაზი სიტყვები, დროს ძვირად აფასებენ. ერთი რწმენითა, ერთი გრძნობითაა გაქლენთილი აქაური ქართველობა: ხელი შეუწყოს ქართველთა ეროვნულ თვითშეგნებას, გამოფხიზლებას, წინმსვლელობას, და არავითარ საშუალებას არ ზოგავს მიზნის მისაღწევად, არავითარ დაბრკოლების წინაშე არ იხევს უკან.

იმ დროს, როდესაც საქართველოს დედა-ქალაქს არ მოეძევება საკუთარი ეროვნული თეატრი, იქ არ არსებობს ქართული დასი, სადაც შეიძლება დამწყობარიყო კაცი სამშობლო ხელოვნებით, ბაქოს ორი სცენის მოყვარეთა დასი ჰყავს სამის რეჟისორით, რამდენიმე პროფესიონალი მსახიობით და ყოველკვირეულად ორი ქართული წარმოდგენა იმართება ორ სხვა და სხვა უბანში. იციან, რომ ორსავე ჯგუფს დიდი და საგრძნობი დეფიციტი მოელის სეზონის დასასრულს, მაგრამ მაინც ინახავენ დასს და ემსახურებიან წმინდა ეროვნულ გათვითცნობიერების საქმეს.

ნახევარ საუკუნეზე მეტი იარსება ქართულმა თეატრმა და აზრად არავის მოსვლია ეზრუნა ძველი ქართულ ტანსაცმლისა და ისტორიულ დეკორაციების სტილის შემუშავებისათვის. ხშირად ყოფილა, რომ ძველი ქართველის დარბაზი თანამედროვე ევროპიულ სალონსა ჰგვანებია, ტანსაცმლისას ხომ ნულარას ვიტყვით, ერთხელვე გამეფებულ შაბლონს მისდევდით; რას აკეთებდა ქართული დრამატიული საზოგადოება? მას თითიც არ გაუნძრევია ამის შესახებ. სულ ნორჩი ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებასთან არსებული დრამატიული სექცია და მისი რეჟისორები ბ.ბ. შ. დადიანი და ალ. წუწუნავა ანგარიშს უწევენ ამ გარემოებას: აქ ბაქოში აღმოჩნდნენ ეროვნული გრძნობის გულშემატკივარი და ამ მიზნის განსახორციელებლად 10—12 ათასი მანეთი გადასდეს. მოიწვიეს ამ დღეებში ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და ქართველ მხატვართა წარმომადგენელნი ბ.ბ. ე. თაყაიშვილი, გ. ქურული და მხატვარი შავარდნაძე, რომელთაც იკისრეს ჩვენის წარსულის თითოეულ ეპოქიდან ძველი მხატვრობისა და ფრესკების საშუალებით შეიმუშავონ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს უწინდელ ტანსაცმელის და დეკორაციების სტილი.

საფუძველს მოკლებული არ არის აგრეთვე ის ხმები, რომ სულ ახლო მომავალში საკუთარ ეროვნულ თეატრის თავშესაფარი ექნება ბაქოელ ქართველობას და თავიდან აიცილებს იმ აურებელ უსიამოვნებას, და დაბრკოლებას, რომელიც ახლა ელობება წინ და აფერხებს ქართულ წარმოდგენების წარმატებით მსვლელობას.

აურებელი მელანი, ქაღალდი და ენერგია დაიხარჯა იმის შესახებ, თუ რა გზით და რა საშუალებით შეეძინა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ფოტოგრაფ ერმაკოვის ნეგატივები, მაგრამ ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა და საქმეს კი სასურველი ბოლო არ მიეცა. სანამ ჩვენ კამათში ვიყავით გართული, იმდენი მოქიშპე გამოგვიჩნდა, რომ კინაღამ თვალსა და ხელს შუა გამოგვტაცეს განძი, რომელიც თურმე დიდძალ მასალას შეიცავს საზოგადოდ კავკასიისა და უმთავრესად კი, ჩვენის, ქართველების, სიძველეთა შესწავლისათვის.

დიდათ პატივცემულ ე. თაყაიშვილს, რომელიც ამ დღეებში ესტუმრა ბაქოს ქართველობას, დიდი ლაპარაკი და მტკიცება არ დასჭირებია. ქართულ სკოლაში თავმოყრილთ აუხსნა მნიშვნელობა ამ ძვირფას განძისა, აგრეთვე ის გარემოება, რომ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება სულ ნორჩი დაწესებულებაა და არ მოეძევება საშვალება, არც ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას აქვს თავისუფალი თანხა, და ხსენებულ ნეგატივების ხელიდან გაშვება კი არა მარტო გულგრილობა იქმნება ეროვნულ ინტერესებისადმი, არამედ დანაშაულობაც შთამომავლობის წინაშეო. სულ მცირე კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, იქვე მისცეს სიტყვა, რომ ბაქოს ქართველობა კისრულობს შეკრებას თავიანთ შორის 35,000 მან. ამ მიზნის განსახორციელებლად.

ასე ადვილად კეთდება თურმე ეროვნული საქმე, თუ გული გულობს.

გ. ჯავახი.

## წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

„საქართველო“-ს მე-288 №-ში ბ. Legatus წერილში „სოფლად“ ეხება ბოდბის მონასტერთან არსებულ სასწავლებელს და, სხვათა შორის, სწერს: „ამ მონასტერში შვიდ განყოფილებიანი სასწავლებელია, 12 მასწავლებელი ჰყავს, ქართული ენის მასწავლებელი არ არის, რადგან ქართული ენის სწავლა სავალდებულო არ არის, მხოლოდ როგორც საქველმოქმედო საგანს რიგ-რიგობით, ვინც-კი ცოტათი წერა-კითხვა იცის, ასწავლიან უფასოდ. ამ სასწავლებელში 180 მოწაფე ითვლება, ამათში ერთი მეოთხედი რუსი იქნება, დანარჩენი ქართველები არიან. ამ წელს სწავლა დაამთავრა 15-მა მოწაფემ, ამათში 5 რუსია. ქართველებს კი თავის სამშობლო ენა დამახინჯებულად აქვთ შესწავლილი და შეგეცოდებათ, როდესაც მათს ლაპარაკს ყურს უგდებთ მშობლიურ ენაზედ“.

ეს ცნობები სიმართლეს მოკლებულია და ამისთვის უმორჩილესად გთხოვთ, ბ. რედაქტორო, ნება მიბოძოთ პატივცემულ გაზეთ „საქართველო“-ს შემწეობით გამოვაცხადო შემდეგი: ამ ხელად ბოდბის წმ. ნინოს მონასტერთან ორი საქალებო სასწავლებელი არსებობს. ერთი სამკლასიანი საოსტატო სემენარიაა და მეორე შვიდ განყოფილებიანი ორკლასიანი სასწავლებელია, რომელიც მდგომარე სამოსწავლო წლიდგან მეორე ხარისხოვან სასწავლებლად იქმნა გადაკეთებული. ამ ორივე სასწავლებლის ყველა კლასებში ქართულ ენას აქვს დათმობილი 2—4 გაკვეთილი კვირაში და პროგრამაც ფართო და შინაარსიანია. უფრო უახლოვდება თბილისის საქალებო საეპარქიო სასწავლებლის ქართული ენის პროგრამმას. ქ. ენა ყველა ქართველ ქალისთვის სავალდებულოა, ვინაიდგან იგინი ქართულ სასწავლებლის მასწავლებლებად ემზადებიან. ქართულ ენას განსაკუთრებული მასწავლებელი ჰყავს, რომელსაც თვეში 40 მან. ჯამაგირი ეძლევა (ამ ცოტა ხანში 50 მან. გაუხდება), ჭამა-სმა, ბინა და სხ. ქართულ ენას დათმობილი აქვს ფართო ასპარეზი და მასწავლებელს, თუ სამშობლო ენის სიყვარული აქვს და საქმიანობა არ ეზარება, ბევრის გაკეთება შეუძლიან. თვით მოწაფენიც გამჭვალულნი არიან სამშობლო ენის ცოდნის შეძენის სურვილით და, თუ ძლიერ კარგათ არა აქვთ იგი შესწავლილი, არც ისეა საქმე დაყენებული, რომ „შეგეცოდოთ, როდესაც მათს ლაპარაკს ყურს დაუგდებთ მშობლიურს ენაზედ“.

ამ სასწავლებლებში, გარდა ქართლ-კახელ ქალებისა, სწავლობენ აფხაზები, სვანები, მეგრელები, გურულები, იმერლები, ინგილოები, თუშ-ფშავ-ხევსურები და სხ. და ეს სასწავლებლები აერთებენ და აცნობენ მათ ერთმანეთს.

ქართული ენის ხარჯების დასაფარავად სასწავლებელი არავისგან არავითარ შემწეობას არ ღებულობს და, თუმცა გაჭირებით, მაინც თვით უძღვება ყოველსავე ხარჯებს.

სასწავლებლის სამოსწავლო ნაწილის გამგე მღ. გ. შიშნიაშვილი.

—

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემ სიტყვას ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.

„საქართველო“-ს № 271 სწერენ, ვითომც შანტაჟისტები პრაპორშჩიკების ტანისამოსით გამოწყობილნი, მოსულიყვნენ ქვემოხოდაშნის მღვდელთან, მოეტყუებინოსთ და მღვდელს ყალბის მოწმობით ჯვარი დაეწეროს 120 მანეთად. ეს შეცდომა გახლავსთ. მოატყუეს ვანთის მღვდელი მინა ქარუხნიშვილი.

მღვდელი იოანე მაღრაძე.

## შემოწირულება

თქვენის პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმეს მადლობასა ვსწირავთ ქ-ნ სოფიო გოგოლიშვილისას მიქელაძის ასულს, და მისს შვილს ქ-ნ ვარდო ი—ძე გოგოლიშვილს, რომლებმაც კეთილ ინებეს და სოფ. ლიხაურის (გურია) ქ. შ. წ.-კ. გ. ს. გ—ს უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს შემოსწირეს მშვენიერი განჯინა 150 მანეთად ღირებული. პირველმა შვილის, ხოლო მეორემ ძმის, გერმანეთის ფრონტზე 1915 წ. მკათათვის 6 გარდაცვლილის, შტაბს-კაპიტანის, მაკარი ი—ძე გოგოლიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად.

გამგეობა.

—

რედაქციამ მიიღო ბ. ბესარიონ ჭუბაბრიასაგან ჰანელების სასარგებლოდ 5 მანეთი და ქართულ თეატრის ასაშენებელ ფონდისთვისაც 5 მანეთი.

—

ჟურნალ „განათლების“ რედაქტორ-გამომცემელს ბ-ნს ლუარსაბ ბოცვაძეს მადლობას სწირავს 1916 წ. „განათლების“ უსასყიდლოთ გზავნისთვის დაბა ჭიათურის საეკლესიო-სამრევლო სკოლის გამგე მღვდელი ბესარიონ ვაშაძე.

რედაქტორ-გამომცემელი ხანდრო ყანჩიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის
მატარებლების მიმოსვლა
(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3,20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ, | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 8 „ | 58 „ | დილ. |

თფილისში მოდის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.48 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, . 6 „ | 24 „ | | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

### ს უ ს უ ნ ა ტ ი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება ხუხუნატის წამლით პირველ-ხარისხოვანი „გონოზანით“. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშვალება ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

ჩვენი გარანტია.

თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ რ. შმიდტ თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 отд. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეფავის ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—

1917 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნ ა კ ა დ უ ლ“-ზე
ყოველთვიური გამოცემა
ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ
24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ფოსტისთვის: Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2.
დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.
(291—3)

„სავაჭრო სახლი“ (საწყობი)
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
ისყიდება პარტიობით ყოველნაირი საგალანტერეიო საქონელი: ჩულქეულობა, ქოლგები, თეთრეულობა, ვიზიტკები, კოსმეტიკა და სხვა და სხვა ახალმოდის საქონლები ხელმისაწვდომ ფასებში სხვა და სხვა სოფლის კოოპერატივებისთვის.
(101—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
კომერციულ ცოდნათა
კურსები
ტ. მ. ფილოიანისა
ორივე სქესისთვის
(თბილისი, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976)
თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.
(20—340—12)

ვინც იტანჯება ათაშანგით
(სიფილისით)
ყურადღება მიაქციონ ცნობილ საშუალებას
პრეპარატი
„IODOSTARIN“ (იოდოსტარინ)
მთელი კურსის ფასი 30 მ., $1/2$ კურსის ფასი 16 მ., $1/4$ კურსის ფასი 8 მ. 50. ქალაქს გარეშეებს ეგზავნებათ ხუთი მანეთის ბეის მიღების შემდეგ.
შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ რ. ი. შმიდტან, თბილისი, თხინვალის ქ., № 12, გოლოვინის პროსპექტის და მამადავითის ქუჩის ახლო. Тифлисъ, Тхинвальская, № 12, отд. 1—2.

სპრინცოვკა პროფესორ ტარნოვსკისა
(შესაშხაპუნებელი)
და სუსპენზორიები, მიიღეთ
I და II ხარისხისა, დიდძალი პარტია, ვაჭრობა ბითუმად და წვრილად. ფასები შესაშხაპუნებლისა ბითუმად I ხარისხისა დუჟინი 9 მან. 50 კ., II ხარისხისა 7 მან. 50 კ. სუსპენზორიების ფასი: ბითუმად დუჟინი 7 მან. 50 კ.
მიმართეთ შესაკვეთად: რ. ი. შმიდტს, თბილისი, თხინვალის ქუჩა, № 12. მისამართი: Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12, отд. 1—7, Р. И. ШМИДТЪ.
ქალაქის გარედ აფთიაქებს და ვაჭრებს გაეგზავნებათ 5 მანეთის ბეს მიღების შემდეგ.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მუშოჩნი“ ხიზილალა. მიიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან
სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4